ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4479677

ნომერი: AR1673407

თარიღი : 05.04.2019

გაცემის თარიღი : 30.04.2019

გაცნობის თარიღი : 30.04.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მიხეილ მარი პ/ნ 01005000001
- თბილისი, ლუბლიანას ქ. #11

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. ტრიდე კოდი: 205206098

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე უარის თქმის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 05 აპრილს №AR1673407 განცხადებით მომართა მიხეილ მარიმ. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა, N22-ში საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.02.010.085), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

სამსახურის 2019 წლის 28 იანვრის № 4351422 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 28 იანვრიდან 2021 წლის 28 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2019 წლის 05 აპრილის №AR1673407 განცხადებაზე წარმოდგენილ გეგმებზე შეთანხმებულთან მიმართებაში შეცვლილია პანდუსის კონფიგურაცია და გაბარიტები, ასევე შეცვლილია ავტოსადგომების ადგილმდებარეობა, აღნიშნულიდან გამომდინარე, განგიმარტავთ, რომ სამსახურის 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმა არის საპროექტო დოკუმენტაციის ნაწილი, რომლის ცვლილებაც და შესაბამისი მონაცემების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ასახვა ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საფუძველს არ წარმოადგენს, აღნიშნული საჭიროებს სამშენებლო დოკუმენტაციის ცვლილებას (კორექტირებას).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გაასწოროს ტექნიკური ხარვეზი 2019 წლის 14 იანვრის №4336966 ბრძანებაში.

აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.